დირექტორის გაფართოებული პასუხისმგებლობა გულისხმიერების შემოწმების პროცესში: საქართველოსა და ევროკავშირის კანონმდებლობის მიხედვით

მარიამ სხილაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: უჩა ძიმისტარიშვილი, სამართლის დოქტორანტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ სხილაძე /----------/

19.01.2026

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება დირექტორის პასუხისმგებლობის გაფართოების კვლევას გულისხმიერების შემოწმების პროცესის კონტექსტში, ევროკავშირის კორპორაციული მდგრადობის გულისხმიერების შემოწმების შესახებ დირექტივისა (EU) 2024/1760 და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შედარებითი ანალიზის საფუძველზე. ნაშრომის მიზანია გამოავლინოს დირექტორის პასუხისმგებლობის შინაარსობრივი და ფუნქციური ცვლილებები თანამედროვე კორპორაციულ სამართალში ადამიანის უფლებებისა და გარემოს დაცვის მზარდი მნიშვნელობის პირობებში.

კვლევა ეფუძნება თეორიულ, ნორმატიულ და შედარებით სამართლებრივ ანალიზს. ნაშრომში განხილულია გულისხმიერების შემოწმების პროცესის ცნება და მისი კავშირი დირექტორის ფიდუციურ ვალდებულებებთან, ასევე დირექტორის ზრუნვის მოვალეობის ტრადიციული ფარგლები კერძო სამართალში. გაანალიზებულია ევროკავშირის დირექტივის ნორმატიული არქიტექტურა, მისი მიზნები და ის მექანიზმები, რომლებითაც გულისხმიერების შემოწმება გარდაიქმნება უწყვეტ, მმართველობაში ინტეგრირებულ პროცესად და ამ გზით აძლიერებს დირექტორის სტრატეგიულ და ზედამხედველობით როლს.

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი აჩვენებს, რომ დირექტორის პასუხისმგებლობა კვლავ ეფუძნება კლასიკურ კერძო-სამართლებრივ მოდელს და ძირითადად კონცენტრირებულია კომპანიის შიდა ეკონომიკურ ინტერესებზე, რის შედეგადაც ადამიანის უფლებებისა და გარემოსდაცვითი რისკების პრევენცია რჩება ნებაყოფლობითი ქცევის სფეროში. შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაშრომი ასაბუთებს, რომ ევროკავშირის მოდელის ინტეგრირება საქართველოს სამართალში მიზანშეწონილია, რისი მიღწევაც შესაძლებელია მისი ძირითადი პრინციპების ეტაპობრივი ჰარმონიზაციის გზით.

ნაშრომის შედეგად ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები, რომლებიც ეხება გულისხმიერების შემოწმების პროცესის ინსტიტუციონალიზაციას, დირექტორის ზრუნვის მოვალეობის შინაარსობრივ გაფართოებასა და კორპორაციული მართვის თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებას, რაც მნიშვნელოვანია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: დირექტორის პასუხისმგებლობა, გულისხმიერების შემოწმების პროცესი, კორპორაციული მდგრადობა, ფიდუციური ვალდებულებები, კორპორაციული მართვა, ადამიანის უფლებები და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა.

Abstract

This Master's thesis examines the expansion of directors' liability in the context of the due diligence process, based on a comparative analysis of the European Union's Corporate Sustainability Due Diligence Directive (EU) 2024/1760 and the current legislation of Georgia. The purpose of the study is to identify the substantive and functional changes in directors' liability within contemporary corporate law, in light of the growing importance of human rights and environmental protection.

The research is based on theoretical, normative, and comparative legal analysis. It explores the concept of the due diligence process and its relationship with directors' fiduciary duties, as well as the traditional scope of the duty of care in private law. The thesis analyses the normative architecture and objectives of the EU Directive and the mechanisms through which due diligence is transformed into a continuous process integrated into corporate governance, thereby significantly strengthening the strategic and supervisory role of directors.

The analysis of Georgian legislation demonstrates that directors' liability remains grounded in a classical private law model and is primarily focused on the company's internal economic interests, as a result of which the prevention of human rights and environmental risks largely remains within the sphere of voluntary corporate conduct. Based on a comparative analysis, the thesis demonstrates that integrating the European Union model into Georgian law is advisable, a goal that can be achieved through the gradual harmonisation of its core principles.

As a result, the thesis formulates recommendations concerning the institutionalisation of the due diligence process, the substantive expansion of the director's duty of care, and the alignment of corporate governance with contemporary standards, which are of significance from both theoretical and practical perspectives.

Keywords: Directors' liability, Due diligence process, Corporate sustainability, Fiduciary duties, Corporate governance, Human rights and environmental responsibility.